ქ.თბილისი, კოსტავას # 23
ტელ.: (995 32) 551 993 992
ტელ: (995 32) 2 998 993
Email: georgejibladze7@gmail.com

შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“

24 სექტემბერი 2018 წელი

აუდიტორული დასკვნა
შ.პ.ს "ედესი ჯგუფის"
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ
2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

საქართველოს პარლამენტთან არსებული
აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ
გაცემული, სერთიფიკატი ზ # ბაფ/011
2012 წლის 25 იანვარი პროფესიონალი
ბუღალტრის სერთიფიკატი # 0049,
აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში
რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-491208
და SARAS-F-829970,

თბილისი
2018 წელი

შ.პ.ს. "ედესი ჯგუფის" ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება მომდევნო გვერდებზე არსებული, დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამორჩეულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა დაწესებულების ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს დაწესებულების ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრისათვის , მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგს, ბალანსის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება - ზარალის ანგარიშგებისა, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული პერიოდისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ✓ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ✓ განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ✓ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ დაწესებულება გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ✓ დაწესებულების ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვაზე და შენარჩუნებაზე;

- ✓ ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას, და ასევე ფინანსური ანგარიშგების (IFRS) მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- ✓ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ✓ დაწესებულების აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- ✓ თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება დირექტორის მიერ ხელმოწერილ იქნა

დირექტორი 6 მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შ.პ.ს. "ედესი ჯგუფის" დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შ.პ.ს. "ედესი ჯგუფის" ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.
ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შ.პ.ს. "ედესი ჯგუფის" ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შ.პ.ს. "ედესი ჯგუფის", ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს), პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ჩავატარეთ საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყისს 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული პერიოდის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული პერიოდისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-გამარტებითი შენიშვნების მონახაზს, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან

<u>აუდიტის ძირითადი საკითხები</u>

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

<u>ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ</u>
<u>პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე</u>

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

<u>აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე</u>

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარისს და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

შპს "საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი"

აუდიტორი

გიორგი ჯიბლაძე

24.09.2018 წელი

<u>ბალანსი</u>

აქტივები	შენი შენა	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
მიმდინარე აქტივები:				
ნაღდი ფული	N 1	17,458.20	11,253.70	4,827.00
საბანკო ანგარიში		742,660.18	133,455.54	1,557,960.00
დებიტორული დავალიანება	N 2	1,507,207.61	1,891,363.84	1,497,570.00
წინასწარ გადახდილი გადასახადები	N 2	3,264,422.19	3,109,504.46	240,251.00
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	N 2	565,245.78	1,421,903.92	13,527,260.00
სასაქონლო მარაგები	N 3	11,108,178.44	10,645,026.50	6,418,024.00
მთლიანი მიმდინარე აქტივები		**17,205,172.40**	**17,212,507.96**	**23,245,892.00**
ძირითადი საშუალებები:	N 4			
სატრანსპორტო საშუალებები		122,795.66	153,494.58	117,683.00
ავეჯი		56,025.08	26,045.07	14,059.00
ოფოსის მოწყობილობა		45,567.22	36,787.44	32,694.00
მოწყობილობა და დანადგარები		252,725.63	312,474.00	389,732.00
უძრავი ქონება		546,369.47	579,721.39	617,234.00
მიწა		1,163,929.00	394,309.00	394,309.00
მთლიანი ძირითადი საშუალებები		**2,187,412.05**	**1,502,831.48**	1,565,711.00
არამატერიალური აქტივები:	N 5			
ლიცენზია და პატენტი		148,868.92	117,502.06	117,502.00
გუდვილი				
მთლიანი არამატერიალური აქტივები		**148,868.92**	**117,502.06**	**1,683,213.00**
მთლიანი აქტივები	შენი შენა	19,541,453.38	18,832,841.50	24,929,105.00
ვალდებულებები და კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები:	N 6			
კრედიტორული დავალიანება		356,597.37	238,285.83	1,129,697.00
დარიცხული გადასახადები		1,228,931.89	1,132,792.27	3,267,361.00
დარიცხული პროცენტები		10,413.02	10,413.02	307,243.00
ავანსად მიღებული შემოსავლები				
მოკლევადიანი სესხი	N 7	7,075,147.54	7,494,308.34	9,357,903.00
საბაჟო გადასახადი				

სხვა ვალდებულებები		18,221.87	13,392.87	
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები		8,689,311.69	8,889,192.33	14,062,204.00
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
გრძელვადიანი სესხები				
გადავადებული გადასახადები				
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები				
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	
მთლიანი ვალდებულებები		8,689,311.69	8,889,192.33	14,062,204.00
კაპიტალი:				
საკუთარი კაპიტალი		1,232,210.00	1,232,210.00	1,232,210.00
გაუნაწილებელი მოგება		9,619,931.70	8,711,439.16	9,634,691.00
მთლიანი კაპიტალი		*10,852,141.70*	*9,943,649.16*	*10,866,901.00*
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		19,541,453.38	18,832,841.49	24,929,105.00

_____

დირექტორი **მთავარი ბუღალტერი**

შემოსავლები:	შენიშვნა		
მთლიანი გაყიდვები	N 8	24,733,495.64	21,741,594.60
ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი		104,786.30	75,130.41
წმინდა გაყიდვები		24,628,709.34	21,666,464.19
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:	N 9	19,324,582.25	14,595,169.08
მარაგები პერიოდის დასაწყისში		10,324,208.65	6,418,026.22
შესყიდვების ხარჯები		21,138,389.61	18,501,351.51
მარაგები პერიოდის ბოლოს		11,108,178.44	10,324,208.65
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		20,354,419.82	14,595,169.08
საერთო მოგება		*4,274,289.52*	*7,071,295.11*

საოპერაციო ხარჯები	N 10		
კომუნალურის ხარჯი		27,135.80	33,974.47
რეკლამა		21,126.44	24,849.86
იჯარა		137,406.65	325,230.89
რემონტი		16,858.10	49,779.41
კომპიუტერის		262.19	1,992.00
საკურიერო		18,076.70	16,750.87
საკონსულტაციო მომსახურება		6,033.90	48,662.55
შრომის ანაზღაურება		1,586,168.75	1,310,659.64
კომუნიკაცია		9,358.53	12,317.91
სამეურნეო ხარჯი		38,285.36	54,535.66
დაზღვევა		9,026.34	7,551.15
ლიფტის მომსახურება		1,525.44	8,092.82
ავტოტექმომსახურება		13,934.20	8,140.09
ბეჭდვის ღირებულება		5,326.98	
საბეჭდი ფორმების გამჟღავნება			9,388.17
ექსპერტიზის ღირებულება			9,504.39
ქსელში ცვლილების საფასური			10,420.17
ბუნებრივი გაზის კონდესატი,გარდა მილსადენისა			12,217.62
საბანკო ხარჯები		24,963.28	14,590.40
წარმომადგენლობითი ხარჯი (მივლინება)			16,082.52
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები			20,721.69
ტექნიკური მომსახურება		3,235.05	24,074.94

საწვავი		51,869.41	76,844.18
სატენდერო მომსახურეობა			62,185.47
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა			74,457.11
სამეურნეო ხარჯები			106,964.25
სხვა ხარჯი		52,415.52	260,690.86
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		*2,023,008.64*	*2,600,679.09*
საოპერაციო მოგება		**2,251,280.88**	**4,470,616.02**

ცვეთა და ამორტიზაცია	N 11	133,721.11	137,707.63
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი		267,891.23	1,121,028.00
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი			
სხვა არასაოპერაციო ხარჯი			191,297.23
მოგების გადასახადი		141,176.00	170,653.00
დივიდენდი		800,000.00	1,886,591.00

წმინდა მოგება (ზარალი)		**908,492.54**	**963,339.16**

დირექტორი **მთავარი ბუღალტერი**

ფულის მიმოქცევის უწყისი

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(127,432.95)	(2,497,450.85)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(601,279.34)	(9,927.35)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		1,344,121.43	1,089,300.44
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე			
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**615,409.14**	**(1,418,077.76)**
ფული და ფულის ეკვივალენტების წლის დასაწყისში		**144,709.24**	**1,562,787.00**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		**760,118.38**	**144,709.24**

დირექტორი **მთავარი ბუღალტერი**

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების წლიური ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება		კაპიტალი სულ
საკუთარი კაპიტალი			**1,232,210.85**		**1,232,210.85**
გაუნაწილებელი მოგება			**9,634,691.00**		**9,634,691.00**
2016 წ 1 იანვარი			**10,866,901.85**		**10,866,901.85**
წლიური მოგება			963,339.16		963,339.16
გაცემული დივიდენდი			(1,100,000.00)		(1,100,000.00)
დაუფარავი ზარალი			(786,591.85)		(786,591.85)
საკუთარი კაპიტალი			1,232,210.85		1,232,210.85
2017 წ 1 იანვარი		-	**9,943,649.16**		**9,943,649.16**
წლიური მოგება			982,034.50		982,034.50
გაცემული დივიდენდი		-	(760,000.00)		(760,000.00)
კაპიტალის გაზრდა			686,458.08		686,458.08
საკუთარი კაპიტალი			1,232,210.85		1,232,210.85
2017 წ 31 დეკემბერი		-	**10,852,141.74**	**#**	**10,852,141.74**

_____

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

განმარტებითი შენიშვნები

შესავალი

პატივცემულო ბატონებო,

ამ ანგარიშში ჩვენ მიზნად დავისახეთ წარმოგვედგინა ჩვენი მოსაზრებები საწარმოს აღრიცხვა-ანგარიშგების, საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებთან შესაბამისობაზე ჩატარებული აუდიტის მსვლელობაში მოპოვებული მონაცემების საფუძველზე. საქართველოს "მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-13 მუხლისა და „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" კანონის მე-14 მუხლის თანახმად პასუხისმგებლობა ბუღალტრული ანგარიშგების სწორად შედგენაზე და დოკუმენტაციის სწორად წარმოდგენაზე აკისრია შ.პ.ს. "ედესი ჯგუფის" ადმინისტრაციას. ჩატარებული აუდიტი შეეხო 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის პერიოდს.

ჩატარებული სამუშაო არ იყო მიმართული მხოლოდ ხარვეზების აღმოჩენაზე და დადგენილი ნორმების დარღვევის გამოაშკარავებაზე. ამდენად ჩვენ არ ვცდილობთ ვამტკიცოთ, რომ გარდა გამოვლენილისა სხვა ხარვეზები არ არსებობს ან სხვა რაიმე სფერო არ მოითხოვს ყურადღებას. წინამდებარე ანგარიშში კომენტარები მიუთითებენ მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო ნორმალური აუდიტორული პროცესების დროს და არ მიუთითებს ყველა შესაძლო გაუმჯობესებზე, რომლებიც შემუშავებული იქნებოდა სპეციალური განხილვის შემთხვევაში.

ამ ანგარიშში ჩვენ მიზნად დავისახეთ წარმოგვედგინა ჩვენი მოსაზრებები საწარმოს აღრიცხვა-ანგარიშგების საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებთან შესაბამისობაზე, ჩატარებული აუდიტის მსვლელობაში მოპოვებული მონაცემების საფუძველზე.

ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. "ედესი ჯგუფი" (ს/კ 203868635) ჩამოყალიბდა 2000 წლის 5 ივნისს, საზოგადოების დამფუძნებელია თამაზ შარიქაძე (პ/ნ 01019007389), 100% წილის მფლობელი.

წარმომადგენლობითი უფლება მოსილება დირექტორი - დიმიტრი კვეკვესკირი (პ/ნ 62006056949). მისმართი ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, აკაკი ბელიაშვილის ქ. №157

<u>საქმიანობა და სტრატეგია</u>

შ.პ.ს. "ედესი ჯგუფის" საქმიანობას წარმოადგენს ფართო მოხმარების საკანცელარიო საქონლის სესყიდვა, წარმოება და რეალიზაცია. სავაჭრო ობიექტების ქსელის შექმნა, სუპერმარკეტების და ბაზრობების მოწყობა და ექსპლოატაცია. მოამარაგოს ადგილობრივი საწარმოები, მაღაზიები და ბაზრობები საკანცელარიო საქონლით. ორგანიზაცია ემსახურება ძირითადად ადგილობრივ ბაზარს, თუმცა აქვს გარკვეული რაოდენობის ექსპორტი.
2016 წლიდან ორგანიზაცია მონაწილეობს აწარმოე საქართველოს პროგრამაში, რომლის დახმარებით შეიძინა სხვა და სხვა სახის საწარმოო საშუალებები, ტრნსპორტი და სხვა სახის ქონება რათა გაზარდოს რეალიზაცია.

1. **ბაზარზე სტრატეგიული ქმედებების მართვა**: იმ სტრატეგიის შემუშავება, დაზუსტება და რეალიზება, რომელიც იძლევა ბაზარზე წარმატების მიღწევის შესაძლებლობას. სტრატეგია არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც იცვლება ურთიერთობები პარტნიორებთან და კონკურენტებთან. სწორედ მისი რეალიზების მეშვეობით აღწევს ორგანიზაცია კონკურენტულ უპირატესობას.
2. **ორგანიზაციის მართვა**: ორგანიზაციის შიდა ცვლილებები განსაზღვრავს ბაზარზე მისი მოღვაწეობის მიმართულებებს. ამგვარი ცვლილებების გარეშე ორგანიზაცია ვერ შეძლებს, შეცვალოს საკუთარი მახასიათებლები: ტექნიკური აღჭურვა, ორგანიზაციული სტრუქტურა და მასში დასაქმებული ხელმძღვანელებისა და სხვა თანამშრომლების პროფესიული ოსტატობა. ორგანიზაციული ცვლილებები გარე გარემოს ცვალებადობაზე რეაგირების, მათთან ადაპტირების და საკუთარი მიზნებისთვის მათი გამოყენების საშუალებას აძლევს კომპანიას.

3. **სტრატეგიული მენეჯმენტის რეალიზება**: ნიშნავს ურთიერთქმედებას სტრატეგიასა (ის, რასაც ორგანიზაცია აკეთებს ბაზარზე) და ორგანიზაციულ პროცესებს შორის (ის, რაც საკუთრივ ორგანიზაციაში ხდება).

კომპანიის მიერ კონკურენტულ გარემოში მიმდინარე და მოსალოდნელ ცვლილებათა ცოდნის სიღრმე დიდწილად განსაზღვრავს ბაზარზე მის ქცევას, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია აღნიშნული ცვლილებების წინასწარ განჭვრეტის უნარი, აგრეთვე, მათი გამოწვევა და საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება. კომპანია ატარებს შემდეგ ცვლილებებს თავისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად- მასშტაბის, კომპანიის გარეგნობის, კომპანიის მიზნების - მიმართულება.

ნებისმიერი კომპანიისათვის ბიზნესის მოცულობასთან დაკავშირებული საკითხები ცენტრალურია. მასშტაბების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მან რეალურად უნდა შეაფასოს მის ხელთ არსებული რესურსები და ამის შესაბამისად შეარჩიოს ხელმისაწვდომი ვარიანტები. არც ერთ კომპანიას არ შეუძლია, ბაზარს შესთავაზოს პროდუქციის ან მომსახურების უსასრულო არჩევანი. თვით პარტნიორების დახმარებითაც კი, მას არ ძალუძს, მოიცვას ყველა პოტენციური მომხმარებელი. რეალურად, მხოლოდ მცირე მათგანს შეუძლია იმოქმედოს საკუთარი დარგის ყველა სეგმენტზე, ამიტომ მასშტაბის განსაზღვრისას ორგანიზაცია ირჩევს იმ "სათამაშო მოედანს", რომელიც ყველაზე უკეთ პასუხობს მის ინტერესებს და შესაძლებლობებს. სწორედ აქ გააჩნია მას ყველაზე წონადი კონკურენტული უპირატესობა.

<u>საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა</u>

<u>წარდგენის საფუძვლები</u>

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

საზოგადოება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება წარმოადგენს ფუნქციონირებად ორგანიზაციას და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ. ყველა ეკონომიკური მოვლენა შეფასების და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.

ანგარიშგების მომზადების დროს ასევე გამოყენებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმა.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები

ფინანსური ანგარიშგების პაკეტი მოიცავს:

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);
2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს
3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშს
4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშს
5. ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, საზოგადოება იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) რომელის მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);

- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბზრო მონაცემები).

<u>საიჯარო აქტივები</u>

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, როგორც მოგება ან ზარალი წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული წახალისება აღირიცხება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იქმნება რეზერვი საოპერაციო იჯარის არახელსაყრელი ელემენტის მიმდინარე ღირებულების ოდენობით. აღნიშნული წარმოიშობა, როდესაც კომპანია წყვეტს შენობა-ნაგებობების გამოყენებას და ისინი ვაკანტური რჩება იჯარის დასრულებამდე ან ქვეიჯარით გააქირავებს მათ საიჯარო გადასახადის სანაცვლოდ, რომელიც ნაკლებია კომპანიის მიერ იჯარის ხელშეკრულების თანახმად გადასახდელ თანხაზე

<u>საანგარიშგებო პერიოდი</u>

ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2017 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

<u>შეფასებისა და წარდგენის ვალუტა</u>

ინტერპრეტაციების მუდმივმა კომიტეტმა (შემდგომში – იმკ) საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის შემადგენლობაში მიიღო იმკ–19 „ანგარიშგების ვალუტა: ფინანსური ანგარიშგების შეფასება და წარდგენა ბასს-21 და ბასს-29–ის შესაბამისად“.

წინამდებარე ინტერპრეტაციით განსაზღვრულია, რომ შეფასების ვალუტა უნდა ატარებდეს სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ასახავს ორგანიზაციასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს. თუ გარკვეული ვალუტა არსებითად ხშირად გამოიყენება ორგანიზაციის მიერ ან ამ ვალუტას მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მიზანშეწონილია, სწორედ იგი გამოიყენებოდეს, როგორც შეფასების ვალუტა.

თავის ოპერაციებში ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების, და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო დანახარჯებით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია გახდება ფინანსური ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტის ან ფინანსური ინსტრუმენტის ნაწილის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს ან დაფარავს ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა მიღებულ ან მისაღებ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღირიცხება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება,

რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ობიექტური სამხილი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსურ პრობლემები, ხელშეკრულების დარღვევა, მსესხებლის გაკოტრების ალბათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო და სხვ.
ამასთანავე დებიტორული დავალიანების გაუფასურებას, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია კომპანიის მიერ გადასახდელების მოკრების წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

მხოლოდ გაცემულ სესხებისა და დებიტორული დავალიანებისთვის საბალანსო ღირებულება მცირდება საეჭვო ვალების რეზერვის გამოყენებით და იმ თანხების შემდგომი ამოღება, რომელთა ჩამოწერაც მოხდა, კრედიტდება საეჭვო ვალების რეზერვში. საეჭვო ვალების რეზერვის საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში. ყველა სხვა ფინანსური აქტივისთვის, საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალის ოდენობით.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან საეჭვო ვალების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკანდაბრუნების დღეს.

<u>ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა</u>

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ბასს 39-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით.

კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომლებიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

ის ფაქტი, სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

<u>ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა</u>

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

<u>შეწყვეტილი ოპერაციები და გასაყიდად გამიზნული აქტივები</u>

<u>შეწყვეტილი ოპერაციები</u>

შეწყვეტილი ოპერაციები წარმოადგენენ ბიზნესის ცალკეულ ძირითად ხაზებს ან გეოგრაფიულ სეგმენტებს, რომლებიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული. როდესაც ისინი გამიზნული იყო გამოყენებისთვის, შეწყვეტილი ოპერაციები წარმოადგენდა ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულს ან ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულთა ჯგუფს. ისინი წარმოადგენენ ოპერაციებსა და ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც ცალსახად განსხვავდება სუბიექტის სხვა ნაწილებისგან, ოპერაციულად და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. მათი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ცალკე არის ნაჩვენები და შედარებითი მონაცემები ხელახლა გამოისახება მათი უწყვეტიდან შეწყვეტილ ოპერაციებში რეკლასიფიცირებისთვის.

<u>სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები</u>

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი

ფასს (IFRS) 9 ფინანსური ინსტრუმენტები 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების ბოლო ვარიანტი, რომელიც ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ყველა ფაზას და ჩაანაცვლებს ბასს 39 ფინანსურ ინსტრუმენტებს: აღიარება და შეფასება და ფასს 9-ის ყველა წინა ვარიანტს. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს ახალ მოთხოვნებს კლასიფიკაციასთან და შეფასებასთან, გაუფასურებასთან და ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 9 ძალაში შევა იმ წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ, ნებადართულია მანამდე გამოყენება. საჭიროა რეტროსპექტული გამოყენება, თუმცა სავალდებოლო არ არის შედარებითი ინფორმაცია. ფასს 9-ის წინა ვარიანტების (2009, 2010 და 2013) ვადამდე გამოყენება დაშვებულია იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველი გამოყენების თარიღი 2015 წლის 1 თებერვლამდე იქნება. ფასს 9-ს მიღება გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ გავლენას არ მოახდენს ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე.

ცვლილება ფასს 5-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2012-2014 ციკლში, გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილება, რომელიც პროსპექტულად მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებზე, დამატებით ინსტრუქციებს აწვდის სუბიექტს, რომელიც ახდენს გასაყიდად გამიზნული აქტივის (ან აქტივთა ჯგუფის) რეკლასიფიცირებას მესაკუთრეთათვის გადასაცემად გამიზნულ აქტივად, ან პირიქით, და იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება გადასაცემად გამიზნული აღრიცხვის შეწყვეტა. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილება ფასს 7-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2012-2014 ციკლში, გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილება, რომელიც მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებზე, დამატებით ინსტრუქციებს გვაწვდის, რათა დაკონკრეტდეს გადაცემულ აქტივზე გულისხმობს თუ არა მომსახურების ხელშეკრულება განგრძობად მომსახურებას. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ძირითადი და არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

შენობა - ნაგებობები 2% წრფივი;

ავტოსატრანსპორტო საშუალებები 7% წრფივი;

ავეჯი და ინვენტარი 15% წრფივი

ელექტრო და კომპიუტერული ტექნიკა 15% წრფივი

მანქანა დანადგარები 10% წრფივი

სხვა ძირითადი საშუალებები 15% წრფივი

ბასს 16 ძირითადი საშუალებები და ბასს 38 არამატერიალური აქტივები ცვლილება გამოიყენება რეტროსპექტულად და განმარტავს ბასს 16-სა და ბასს 38-ში, რომ აქტივი შეიძლება გადაფასდეს მთლიანი ან წმინდა საბალანსო ღირებულებაზე დაკვირვების მონაცემების საფუძველზე. გარდა ამისა, დარიცხული ცვეთა ან ამორტიზაცია არის სხვაობა აქტივის მთლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის. ცვლილებები ბასს 16-ში და ბასს 38-ში: ცვეთის და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება ცვლილება განმარტავს პრინციპს ბასს 16-ში და ბასს 38-ში, რომ შემოსავალი ასახავს ეკონომიკური სარგებელის მოდელს, რომელიც მიიღება საწარმოს საქმიანობიდან (რომლის ნაწილი არის აქტივი) და არა ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც გამოიყენება აქტივის გამოყენების საფუძველზე. შედეგად, შემოსავალზე დაფუნებული მეთოდი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ძირითადი საშუალებების ჩამოსაწერად და შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მეტად

შეზღუდულ გარემოებებში არამატერიალური აქტივების ჩამოსაწერად. ცვლილებები ძალაში შევა მომავალში წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2016 წლის 1 იანვარს ან შემდეგ, დაშვებულია ადრე მიღება. აღნიშნული ცვლილებები სავარაუდოდ გავლენას არ მოახდენს ჯგუფზე, იმ პირობით, რომ ჯგუფი არ გამოიყენებს შემოსავალზე დაფუძნებულ მეთოდს მისი არამიმდინარე აქტივების ჩამოწერასთან დაკავშირებით.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა; შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით; ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

გადასახადი

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და აისახა ანგარიშგებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები გათვალისწინებულია ეკონომიკური საქმიანობის უფლების მქონე ერთეულების მიერ აქტივების და ვალდებულებების შეფასებისას.

მოგების გადასახადი

საზოგადეობა მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს

საგადასახადო კოდექსის 981მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. საზოგადოება საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

<u>კაპიტალი</u>

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ქონებას, რომლებიც ადასტურებენ საზოგადოების აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ.

<u>ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები</u>

ფიანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასახულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ასევე დამატებით მოიცავს ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც არაფინანსური ხასიათისაა და არ არის არც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შემადგენელი ნაწილი, თუმცა, საჭიროა ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური ხასიათის ინფორმაციის ასახსნელად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით. აქტივები ძირითადად შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით.

1. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშზე და სალაროში ერიცხება 3,317,815.27 ლარი.

აქტივები	31.12.2017	31.12.2016
ნაღდი ფული	17,458.20	11,253.70
საბანკო ანგარიში	742,660.18	133,455.54
სულ	760,118.38	144,709.24

2, ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები უმეტესწილად წარმოქმნილია წინასწარი გადახდებით ბიუჯეტიდან და გაწეული მომსახურების შედეგად. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოდგენილია მოკლევადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების სახით. ფინანსური აქტივის მიღების ან გასვლის ღირებულებას წარმოადგენს მისი გაცვლის ღირებულება.

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური

აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

2.დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები

	31.12.2017	31.12.2016
დებიტორული დავალიანება	1,507,207.61	1,891,363.84
წინასწარ გადახდილი გადასახადები	3,264,422.19	3,109,504.46
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	565,245.78	1,421,903.92
სულ	5,336,875.58	6,422,772.22

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

3, მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილია შეძენის ღირებულებით და დამზადების თვითღირებულებით. მატერიალური მარაგების შეფასებისას, გამოყენებულია მარაგების აღრიცხვის საშუალო შეწონილი მეთოდი. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 11,108,178.44 ლარს.

	31.12.2017	31.12.2016
სასაქონლო მარაგები	11,108,178.44	10,645,026.50
სულ	11,108,178.44	10,645,026.50

4, ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა დანადგარები	ავეჯი და ინვენტარი	ოფოსის მოწყობილობა	სულ
31 დეკემბერი 2015 წელი	394,309.00	617,234.60	117,683.32	389,731.76	14,058.87	32,693.32	1,565,710.87
შეძენა			39,351.43	10,459.38	14,169.31	10,848.12	74,828.24
გაყიდვა							-
ჩამოწერა							-
მიმდინარე ცვეთის ხარჯი		37,513.20	3,540.17	87,717.14	2,183.12	6,754.00	137,707.63
31 დეკემბერი 2016 წელი	394,309.00	579,721.39	153,494.58	312,474.00	26,045.06	36,787.44	1,502,831.48
შეძენა	769,620.00				29,980.02	16,137.00	815,737.02
გაყიდვა							-
ჩამოწერა							-
მიმდინარე ცვეთის ხარჯი		33,351.93	30,698.92	59,748.38	2,564.66	7,357.22	133,721.11
31 დეკემბერი 2017 წელი	1,163,929.00	546,369.46	122,795.66	252,725.63	56,025.08	45,567.22	2,187,412.05

5, არამატერიალური აქტივები

საზოგადოების არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბუღლტრო პროგრამა ორისი, რომელზეც წლის განმავლობაში არ არის დარიცხული ცვეთა

	პროგრ. უზრუნველყოფა	სულ
31 დეკემბერი 2015 წელი	117,502.00	117,502.00
შეძენა		
გაყიდვა		
ჩამოწერა		
მიმდინარე ამორტიზაცია		
31 დეკემბერი 2016 წელი	117,502.00	117,502.00
შეძენა	31,366.92	
გაყიდვა		
ჩამოწერა		
მიმდინარე ამორტიზაცია		
31 დეკემბერი 2017 წელი	148,868.92	148,868.92

6. ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე (კრედიტორული დავალიანებები, რომელიც არ არის დაფარული ანგარიშგების თარიღისთვის) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით ერიცხება 1,614,163.30 ლარის კრედიტორული დავალიანება.

	31.12.2017	31.12.2016
კრედიტორული დავალიანება	356,597.37	238,285.83
დარიცხული გადასახადები	1,228,931.89	1,132,792.27
დარიცხული პროცენტები	10,413.02	10,413.02
სხვა ვალდებულებები	18,221.02	13,392.02
სულ	1,614,163.30	1,394,883.14

7. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოდგენილია გრძელვადიანი სესხების სახით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 7,075,147.54

	31.12.2017	31.12.2016
მოკლევადიანი სესხი	7,075,147.54	7,494,308.34

მოგება ზარალის ანგარიშგება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა ორგანიზაციის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

8, შემოსავალი

შემოსავლები:	შენიშვნა		
მთლიანი გაყიდვები	N 8	24,733,495.64	21,741,594.60
ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი		104,786.30	75,130.41
წმინდა გაყიდვები		24,628,709.34	21,666,464.19
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		19,324,582.25	14,595,169.08
მარაგები პერიოდის დასაწყისში		10,324,208.65	6,418,026.22
შესყიდვების ხარჯები		21,138,389.61	18,501,351.51
მარაგები პერიოდის ბოლოს		11,108,178.44	10,324,208.65
გაყიდული სქონლის თვითღირებულება		20,354,419.82	14,595,169.08
საერთო მოგება		*4,274,289.52*	*7,071,295.11*

ხარჯების აღიარება

ორგანიზაცია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

9. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	31.12.2017	31.12.2016
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:	14,629,736.04	10,904,318.41
მარაგები პერიოდის დასაწყისში	6,617,510.10	3,870,807.23
შესყიდვების ხარჯები	15,781,943.75	13,624,341.60
მარაგები პერიოდის ბოლოს	7,769,717.81	6,623,315.53
გაყიდული სქონლის ვითღირებულება	14,629,736.04	10,871,833.30
საერთო მოგება	**9,828,041.87**	**8,687,117.09**

10. საოპერაციო ხარჯები

	31.12.2017	31.12.2016
კომუნალურის ხარჯი	27,135.80	33,974.47
რეკლამა	21,126.44	24,849.86
იჯარა	137,406.65	325,230.89
რემონტი	16,858.10	49,779.41

კომპიუტერის	262.19	1,992.00
საკურიერო	18,076.70	16,750.87
საკონსულტაციო მომსახურება	6,033.90	48,662.55
შრომის ანაზღაურება	1,586,168.75	1,310,659.64
კომუნიკაცია	9,358.53	12,317.91
სამეურნეო ხარჯი	38,285.36	54,535.66
დაზღვევა	9,026.34	7,551.15
ლიფტის მომსახურება	1,525.44	8,092.82
ავტოტექმომსახურება	13,934.20	8,140.09
ბეჭდვის ღირებულება	5,326.98	
საბეჭდი ფორმების გამჟღავნება		9,388.17
ექსპერტიზის ღირებულება		9,504.39
ქსელში ცვლილების საფასური		10,420.17
ბუნებრივი გაზის კონდესატი,გარდა მილსადენისა		12,217.62
საბანკო ხარჯები	24,963.28	14,590.40
წარმომადგენლობითი ხარჯი (მივლინება)		16,082.52
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები		20,721.69
ტექნიკური მომსახურება	3,235.05	24,074.94
საწვავი	51,869.41	76,844.18
სატენდერო მომსახურეობა		62,185.47
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა		74,457.11
სამეურნეო ხარჯები		106,964.25
სხვა ხარჯი	52,415.52	260,690.86
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	*2,023,008.64*	*2,600,679.09*
საოპერაციო მოგება	**2,251,280.88**	**4,470,616.02**

11. არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

	31.12.2017	31.12.2016
ცვეთა და ამორტიზაცია	133,721.11	137,707.63
საპროცენტო ხარჯი	267,891.23	1,121,028.00
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	191,297.23
მოგების გადასახადი	141,176.00	170,653.00
დივიდენდი	800,000.00	1,886,591.00
წმინდა მოგება (ზარალი)	**908,492.54**	**963,339.16**

კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების კაპიტალი შეადგენს 10,852,141.74 ლარს

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	კაპიტალი სულ
საკუთარი კაპიტალი			**1,232,210.85**	**1,232,210.85**
გაუნაწილებელი მოგება			**9,634,691.00**	**9,634,691.00**
2016 წ 1 იანვარი			**10,866,901.85**	**10,866,901.85**
წლიური მოგება			963,339.16	963,339.16
გაცემული დივიდენდი			(1,100,000.00)	(1,100,000.00)
დაუფარავი ზარალი			(786,591.85)	(786,591.85)
საკუთარი კაპიტალი			1,232,210.85	1,232,210.85
2017 წ 1 იანვარი		**-**	**9,943,649.16**	**9,943,649.16**
წლიური მოგება			982,034.50	982,034.50
გაცემული დივიდენდი		-	(760,000.00)	(760,000.00)
კაპიტალის გაზრდა			686,458.08	686,458.08
საკუთარი კაპიტალი			1,232,210.85	1,232,210.85
2017 წ 31 დეკემბერი		**-**	**10,852,141.74**	**10,852,141.74**

მიღებული სესხები

ქვემოთ მოცემულია მიღებული სესხები პერიოდის ბოლოსთვის:

	31.12.2017	31.12.2016
მოკლევადიანი სესხები	984,019.00	1,050,999.80
ფიზიკური პირის სესხი	6,091,128.54	6,443,308.54
სულ მიღებული სესხები	7,075,147.54	7,494,308.34

სააგენტოს მიერ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოს“ პროექტის ფარგლებში საზოგადოებას მიღებული აქვს მოკლევადიანი სესხები, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო გან.	ვალუტა	თნხა
სს პროკრედიტ ბანკი	21.07.2015	21.07.2016	7.00%	აშშ დოლარი	360,000.00
სს პროკრედიტ ბანკი	21.07.2015	21.07.2016	7.00%	აშშ დოლარი	350,000.00
ფიზიკური პირი	01.01.2015	01.01.2020	12.50%	ლარი	7,200,000.00
სულ მოკლევადიანი სესხები					4,768,568.89
ძირითადი თანხა					9,061,336.00
საპროცენტო ვალდებულება					4,630,293.52
სულ მიმდინარე სესხები					13,691,629.52

თანხა გაიცემა საზოგადოების საჭირებისამებრ და პროცენტი ერიცხება გაცემულ თნხას ხელშეკრულების შესაბამისად.

13. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო საქმიანობის განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

<u>საკრედიტო რისკი</u>

კომპანია საკრედიტო რისკს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით, რომლის დროსაც გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოების ინფორმაცია, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა. არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში

	31.12.2017	31.12.2016
ფული და ფულის ექვივალენტები	760,118.38	144,709.24
მიღებული სესხები	7,075,147.54	7,494,308.34
დებიტორული დავალიანება მისაღები თნხები	1,507,207.61	1,891,363.84

ფულისა და ფულის ექვივალენტების ბალანსი წარმოადგენს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისთვის. ყველა დებიტორული დავალიანება და წინასწარი გადახდა, რომელიც ვადაგადაცილებულია ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის შესაბამისად არის გაუფასურდებული და ამგვარად, ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით. ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	760,118.38			760,118.38
დებიტორული დავალიანება	1,507,207.61			1,507,207.61
სულ ფინანსური აქტივები	**2,267,325.99**	**-**	**-**	**2,267,325.99**
ფინანსური ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი	7,075,147.54			7,075,147.54
კრედიტორული დავალიანება	356,597.37			356,597.37
გრძელვადიანი სესხები			-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**7,431,744.91**	**-**	**-**	**7,431,744.91**
ლიკვიდურობის პოზიცია	**(5,164,418.92)**			**(5,164,418.92)**

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	144,709.24			144,709.24
დებიტორული დავალიანება	1,891,363.84			1,507,207.61
სულ ფინანსური აქტივები	**2,036,073.08**	**-**	**-**	**1,651,916.85**
ფინანსური ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი	7,075,147.54			7,075,147.54
კრედიტორული დავალიანება	1,228,931.89			1,228,931.89
გრძელვადიანი სესხები			-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**8,304,079.43**	**-**	**-**	**8,304,079.43**
ლიკვიდურობის პოზიცია	**(6,268,006.35)**			**(6,268,006.35)**

ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საქმიანობების განხორციელებისას, საზოგადოება ექვემდებარება შემდეგ რისკებს:

- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით.

<u>სავალუტო რისკი</u>

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და სასურველი იქნება სავალუტო დეპოზიტების

<u>საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები</u>

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

<u>მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები</u>

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საზოგადოებამ გააკეთა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე. საზოგადოება პერიოდულად ამოწმებს ასეთ შეფასებებს და დაშვებებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ხელთ

არსებულ ყველა სათანადო ინფორმაციას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს რეალური ციფრების შეფასებულ მონაცემებთან განსხვავებულობის ფაქტს.

სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის კომპანიის ზოგი აქტივი და ვალდებულება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გამოსათვლელად, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ არ არის ხელმისავდომი პირველი დონის მონაცემები, კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან, რომლებიც ახორციელებენ შეფასებას დადგენილი შესაფერისი შეფასების ტექნიკებზე და მოდელისთვის საჭირო ინფორმაციაზე დაყრდნობით (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენება, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზი). შემფასებლების მიერ ამგვარად განსაზღვრული ფასები კომპანიის მიერ გამოიყენება კორექტირების გარეშე. ასეთი შეფასებებისთვის კომპანიამ შეფასების სხვადასხვა მეთოდოლოგიებიდან უნდა გააკეთოს არჩევანი და გამოთვალოს მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და დისკონტირების განაკვეთები.

შიდა კონტროლის სისტემის შესახებ

შიდა კონტროლის სისტემის შეფასება მოხდა უშუალოდ სამუშაოების მოცულობის განსაზღვრის მიზნით, რომელიც აუცილებელი იყო რათა გამოთქმულიყო მოსაზრება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების სიზუსტის შესახებ. აუდიტის პროცესში შესრულებული სამუშაო არ ნიშნავს შიდა კონტროლის სისტემის სრულ და ყოვლისმომცველ შესწავლას ყველა არსებული სიტუაციის ან შეცდომის გამოვლენის მიზნით.

ორგანიზაციის და მისი შიდა კონტროლის მდგომარეობის შესახებ პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების ხელმძღვანელობას.

შიდა კონტროლის საიმედოობის შეფასებისას ყურადღება გამახვილებული იქნა ამ სისტემის უნარზე გააკონტროლოს:

- ბუღალტერიაში არსებული სამეურნეო ოპერაციების რეალურობა
- ასახული სამეურნეო ოპერაციების სისრულე
- აქტივებისა და ვალდებულებების ადეკვატური შეფასება და კლასიფიკაცია
- ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების ადეკვატური შეჯამება და განზოგადოება

შიდა კონტროლის სისტემის საიმედოობის და კონტროლის გარემოს შესაფასებლად განხილული იქნა დაწესებულების სამეურნეო საქმიანობის შემდეგი მხარეები:

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა
- ანგარიშების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი არეები, სადაც მაღალია ბუღალტრული ანგარიშგების შეცდომის რისკი
- იმ თანამშრომელთა უფლებამოსილებების და ვალდებულებების განაწილება, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ანგარიშგების შედგენაში
- სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულ რეგისტრებში ასახვის თანმიმდევრობა და ამ რეგისტრების განზოგადების ფორმები და მეთოდები

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტორული შემოწმების შედეგებს, დაწესებულების შიდა კონტროლის სისტემა ფასდება დამაკმაყოფილებლად.

დაწესებულებას არ გააჩნია დოკუმენტის სახით გაწერილი სააღრიცხვო პოლიტიკა, სადაც რეგლამენტირებულია აღრიცხვის ძირითადი პრინციპები, კომპიუტერული პროგრამების, დოკუმენტბრუნვის, თანამშრომელთა უფლებამოსილებების გადანაწილების, აქტივების დაცვის, ვალდებულებებისა და კაპიტალის მართვისა და სხვა კონტროლის პროცედურები. არსებობს შრომითი კონტრაქტები და დირექტორის ბრძანებები, სადაც განსაზღვრულია დაქირავებულთა უფლება–მოვალეობები, რაც ნაწილობრივ ავსებს შიდა კონტროლის სისტემას. სასაქონლო–მატერიალური ფასეულობები აღრიცხულია რაოდენობრივად და თანხობრივად საშუალო–შეწონილი მეთოდით, რაც ფასს–ებით დასაშვებია და იძლევა რეალურ სურათს მათი თვითღირებულების ფორმირების, გადაადგილებისა და ხარჯებად აღიარების შესახებ. დაწესებულების ხელმძღვანელობის განმარტებით პერიოდულად განხორციელებულია სმფ–ების ინვენტარიზაციები.

ნებისმიერი ჩვენი გაკეთებული დასკვნა ეყრდნობა ჩატარებულ აუდიტს, რომელიც განხორციელდა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კანონებისა და ინსტრუქციების მოთხოვნათა დაცვით და აუდიტის საყოველთაოდ მიღებული ნორმების შესაბამისად.

შპს "საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი"

აუდიტორი

გიორგი ჯიბლაძე

24.09.2018 წელი